

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ბაკალავრების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარი თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთიერთობათა რთულ სისტემაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად და ბიზნესპროცესების მართვაში მონაწილეობის მისაღებად.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:

- ბიზნესის მართვის კონცეფციები და ძირითადი პრინციპები
- ბიზნესის სისტემის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები
- ფინანსური საქმიანობის დაგეგმვის, მართვის მექანიზმები, მათი ფუნქციები და პრინციპები
- მარკეტინგული საქმიანობის მართვის, დაგეგმვის, კონტროლის და მარკეტინგული კვლევის მეთოდები
- მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური და გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები
- საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატები

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას
- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირის აუცილებლობას
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში
- ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვის აუცილებლობას
- უცხოური ენის ფლობის მნიშვნელობას საქმიანი ურთიერთობების წარმართვისათვის

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის სფეროს ფინანსური, მარკეტინგული, მენეჯერული საქმიანობის დაგეგმვა და მართვის პროცესში მონაწილეობა
- დარგში არსებული ადმინისტრაციული, საკადრო, სააღრიცხვო, ფინანსური, ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრის

გზების დასახვაში მონაწილეობის მიღება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად

- ფინანსური ინფორმაციის მოძიება და სათანადო ფინანსური დოკუმენტების მომზადება, საერთაშორისო ბუღალტრული და ფინანსური სისტემების გამოყენება
- კონკრეტული კვლევითი/ პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესპროცესებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ფირმის ფინანსური მდგომარეობის, მარკეტინგული კვლევის, ბიზნესის ორგანიზების შეფასებისათვის, საჭირო მონაცემების შეგროვება და ანალიზი. შესაბამისი მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება
- საკუთარი მოსაზრების ფორმულირება და არგუმენტირება

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების, ფინანსებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციონირების, მარკეტინგული კვლევის, ბიზნეს სტარტაპისა და ინოვაციური მეწარმეობის, ფინანსური აღრიცხვისა და მენეჯმენტის საკითხებზე დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის დემონსტრირება, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების, ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აღრიცხვის საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების მოძიება და აღნიშნულ საკითხებზე ცოდნის მუდმივი განახლება
- ბიზნესის წარმატებული საქმიანობის და შრომის ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სათანადო მასალების მოძიება და ინტერნეტ წყაროების გამოყენებით ცოდნის გაფართოება

ღირებულებები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის წარმოებისათვის დამახასიათებელი კულტურული ფასეულობების იდენტიფიკაცია, ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და დასამკვიდრებლად სწრაფვა
- ბიზნეს საქმიანობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით

დადებითი შეფასებებია:

- (A)-ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
- (B)-ძალიან კარგი – შეფასების 81-90 ქულა
- (C)-კარგი – შეფასების 71-80 ქულა

<ul style="list-style-type: none"> • (D)-დამაკმაყოფილებელი – შეფასების 61-70 ქულა • (E)-საკმარისი – შეფასების 51-60 ქულა <p>უარყოფითი შეფასებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX)-ვერ ჩააბარა – შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება • (F)-ჩაიჭრა – შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
--

საკონტაქტო პირი: ასოცირებული პროფესორი თათია ლურჯაია
ტელ.: 595 39 09 33
e-mail: t.gurtskaia@gtu.ge
მისამართი: 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 77

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
ბიზნესის ადმინისტრირება	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	240
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	რუსული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ბაკალავრების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთიერთობათა რთულ სისტემაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის მართვის ფუნდამენტური დებულებები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები • ბიზნესის სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება • ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი მეთოდები • ელემენტარული მათემატიკური ცნებების გამოყენება ეკონომიკის და ბიზნესის სფეროში, მოთხოვნის და მიწოდების ანალიზი, ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა • მარტივი და რთული პროცენტები, ფინანსური დავალიანების დაფარვის გრაფიკის შედგენა, ანუიტეტი, ინვესტიციების შეფასება-შედარების კრიტერიუმები

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას
- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირის აუცილებლობას
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში
- ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურად მართვის აუცილებლობას
- უცხოური ენის ფლობის მნიშვნელობას საქმიანი ურთიერთობების წარმართვისათვის

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესპროცესებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ბიზნესის ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და აგრეთვე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება
- დარგში არსებულ პრობლემების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: ორგანიზაციის ადმინისტრაციული - საკადრო, საადრიცხვო, ფინანსური, ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრა;

კონკრეტული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება

- თანამედროვე ბიზნეს-ადმინისტრირების განვითარების თავისებურებების დემონსტრირება
- წრფივი ალგებრის, ფინანსური მათემატიკის და მათემატიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული და პრაქტიკული შინაარსის ეკონომიკური და ბიზნესის სფეროს ამოცანების მოდელირება და ამოხსნა

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესპროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა: დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და ინტერპრეტაცია
- ბიზნესპროცესებში განყენებული მონაცემებისა და ბიზნეს სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და აგრეთვე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით
- საკუთარი მოსაზრების ფორმულირება და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში იდეების განხორციელებისა და არსებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის
- ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება ქართულ და უცხოურ ენებზე კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე, პროფესიული განვითარების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა • ბიზნესის სფეროში წარმატებული პროფესიული საქმიანობის და შრომის ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სათანადო მასალების მოძიება და ნაბეჭდი თუ ინტერნეტ წყაროების გამოყენება ცოდნის გაფართოების მიზნით <p>ღირებულებები</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად შექმნილი ცოდნის გამოყენება • პროფესიული საქმიანობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
	<p>საკონტაქტო პირი: პროფესორი თეიმურაზ ყანდაშვილი ტელ.: 577760831 e-mail: t.kandashvili@gtu.ge მისამართი: 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ.№ 77</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საფინანსო და საბანკო სფეროში საქმიანობისათვის და შრომით ბაზრებზე კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება, კვალიფიციური და პროფესიულ კარიერაზე ორიენტირებული ბაკალავრების მომზადება. საფინანსო და საბანკო დაწესებულებებში პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარის გამომუშავება და საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების გამოყენების უნარის ჩამოყალიბება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:

ბიზნესის ძირითადი პრინციპები და საფუძვლები;
ფინანსების არსი, ფუნქციები, მნიშვნელობა და თავისებურებები;
საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრინციპები;

- საბანკო ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის პრინციპები;
- საბანკო ინჟინერინგის ძირითადი პრინციპები.

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

კომერციული ბანკების აქტიურ და პასიურ ოპერაციებს და მათი აღრიცხვის მეთოდებს და თავისებურებებს;

ინფორმაციულ პროცესებთან დაკავშირებულ ცნებებს, ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებისა და საბანკო პროექტების ძირითად პრინციპებს;

ავტომატიზებული საბანკო სისტემების შესაძლებლობებს, საბანკო ინფორმაციული სისტემის არჩევის ძირითად კრიტერიუმებს;

ბანკის სტრატეგიული მართვის განვითარების დონეებს და მნიშვნელობას;

ბანკში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურული განვითარების პროცესს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

კომერციული ბანკების აქტიური და პასიური ოპერაციების შესრულება;

საბანკო ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;

ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამშრომელთა პასუხისმგებლობის განაწილების მატრიცის შედგენა;

საბანკო სისტემის მომხმარებელთა ეფექტიანი მომსახურება და ცვლილებების მართვის განხორციელება თანამედროვე კომპიუტერული სისტემების ბაზაზე;

- ბანკის ბიზნეს-პროცესების აღწერა და სტრატეგიული მართვის რუქების შედგენა;

საბანკო ინფორმაციული სისტემის არჩევის კრიტერიუმების შედგენა და პრაქტიკაში გამოყენება.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სხვადასხვა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების გაანალიზება;
საბანკო ოპერაციებისა და პროცესებისათვის დამახასიათებელი სააღრიცხვო მონაცემების შეგროვება, ბუღალტრული ჩანაწერებით გამოწვეული ცვლილებების ანალიზი კომერციული ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე და დასკვნის ჩამოყალიბება;
საბანკო პროდუქტების სამუშაო გეგმის შედგენა და შედეგების შეფასება;
საბანკო ინჟინერინგისა და მართვისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და დასკვნის ჩამოყალიბება;
ბანკებში ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიუჯეტის სხვადასხვა მაჩვენებლების გაანალიზება და დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

ქართულ და უცხოურ ენებზე დისკუსიის წარმართვა, საკუთარი კომენტარებისა და არგუმენტების დემონსტრირება პროფესიულ- დარგობრივი თემატიკის ფარგლებში;
წერილობითი და ზეპირი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენა;
ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა საბანკო პროდუქტების/მომსახურების რეალიზებისას.

სწავლისუნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროში კონკურენტუნარიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად სათანადო ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი არჩევანის გაკეთება ცოდნის ამაღლების მიზნით;
- სიტუაციის გააზრება, შეფასება და მართვა, რასაც გამოიყენებს: შეძენილი ცოდნის განმტკიცებისა და განახლებისათვის, კრიტიკული და თვითკრიტიკული შეფასებებისათვის, სიახლეების მიღებისადმი მზადყოფნისათვის, თვითრეალიზაციისათვის.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პროფესიული საქმიანობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით;
- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში პროფესიული საქმიანობის ორგანიზებულად, რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვა;
- პროფესიული ღირებულებების გამოვლენა საბანკო ოპერაციების პუნქტუალურად და ზუსტად შესრულებისას და ბანკში განხორციელებული ყველა ოპერაციის დროული და სწორი ფინანსური აღრიცხვისას;

საბანკო დაწესებულებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების ზუსტი და დროული შეფასება.

შეფასების წესი

შეფასებახდება 100 ქულიანისკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა
- (B) - ძალიანკარგი - შეფასების 81-90 ქულა
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე

<p>ერთხელ გასვლის უფლება</p> <ul style="list-style-type: none"> • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
<p>საკონტაქტო პირი: პროფესორი რატი ბურდიაშვილი</p> <p>ტელ.: 599505003</p> <p>e-mail: r.burdiashvili@gtu.ge</p> <p>მისამართი: 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ.№ 77</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
საჯარო მმართველობა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>პროგრამის მიზანია, მისცეს სტუდენტებს მართვის თეორიისა და მეთოდოლოგიის ფართო ცოდნა, გააცნოს საჯარო სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ფორმები და მეთოდები, სახელმწიფო სტრუქტურების, ზოგადად მართვის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე ფორმები და სისტემები; მოამზადოს ისინი ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის შესაძლებლობებზე დაფუძნებული მართვის უახლესი ტექნოლოგიებისა და საშუალებების ასათვისებლად და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>საჯარო მმართველობის სფეროსა და თანამედროვე სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების ცოდნა, მართვის თეორიებისა და პრინციპების აქტუალური საკითხების გაცნობიერება;</p> <p>საჯარო მმართველობის თეორიული ასპექტების ათვისება, საჯარო მოხელის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი პრინციპების გააზრება, საჯარო სამსახურის ფუნქციონირების კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. არსებული გამოწვევების შესწავლა და ანალიზი.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>საჯარო მმართველობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის მზადყოფნა, ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების უნარი;</p> <p>საჯარო სამსახურში, კომერციულ და არასამთავრობო სექტორში მართვის თანამედროვე მეთოდების პრაქტიკული გამოყენება;</p> <p>საჯარო სამსახურში არსებული საწესდებო დოკუმენტებისა და ინსტრუქციების, აგრეთვე ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე სათანადო გადაწყვეტილებათა მისაღებად პროექტებისა და წინადადებების მომზადება;</p>

საწყისი უნარ-ჩვევების გამოყენებით და სათანადო ხელმძღვანელობის პრობებში ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება.

დასკვნის უნარი

მოცემული სფეროსთვის ორდინალური ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მონაცემების შეგროვება. მონაცემთა ბაზებში მონაცემების შეყვანა და გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით მათი დახარისხება;

კონკრეტული ორგანიზაციისა და რეგიონის მასშტაბით არსებული ინფორმაციის შეგროვება და სისტემური ანალიზი;

მოპოვებული ემპირიული მასალის დამუშავების შედეგად ორგანიზაციის სტრატეგიული, პერსპექტიული და კალენდარული გეგმების პროექტების შემუშავება. მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის მზადყოფნა.

კომუნიკაციის უნარი

ორგანიზაციების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად მასალების შეგროვება, წერილობითი ფორმით მათი წარდგენა. საჭირო ინფორმაციის კოლეგებისა და საზოგადოებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება;

მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის მომზადება და ზეპირად გადაცემა;

პერსონალთან ურთიერთობის მეთოდებისა და პრინციპების ცოდნა და გამოყენება; ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა;

იდებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი;

კომუნიკაციის თანამედროვე სისტემების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება.

სწავლის უნარი

კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, შემდგომი სწავლის დაგეგმვა და განხორციელება;

პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;

სისტემატური მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, როგორც გუნდურ ფორმატში, ასევე ინდივიდუალურად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებთან მიმართებაში ცოდნის მუდმივი დახვეწა.

ღირებულებები

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრება, მათ დამკვიდრების პროცესში მონაწილეობა. საკუთარ თავში ისეთი თვისებების გამომუშავება, როგორცაა შრომისმოყვარეობა, დისციპლინირებულობა, მაღალი პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი;

ევროპული, დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრებისკენ სწრაფვა. პროფესიული ღირებულებების და ეთიკის განუხრელად დაცვა. ეთიკისა და მორალის, მიღებული ნორმების პატივისცემა და დაცვა. ადამიანის, როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების პატივისცემა, ზრუნვა მის უფლებებზე და თავისუფლებებზე.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა

	<p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
<p>საკონტაქტო პირი: პროფესორი შოთა დოღონაძე ტელ.: 577 40 56 77 e-mail: sh.dogonadze@gtu.ge მისამართი: 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ.№ 77</p>	

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სასტუმრო მომსახურება

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ტურიზმის ბაკალავრი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სასტუმრო ინდუსტრიის ბაზრისთვის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დაბალი და საშუალო მენეჯერული პოზიციებისთვის შემდეგი მიმართულებით:

- მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის განხორციელება სასტუმრო ინდუსტრიაში
- სასტუმრო საქმის მართვა და ოპერირება
- სასტუმრო ინდუსტრიის კვლევა და პროგნოზირება
- სასტუმროს თანამედროვე საინფორმაციო, ელექტრონული და საოპერაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენება

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- სასტუმრო მეურნეობის სფეროში არსებული ძირითადი ცნებები, თეორიები და განმარტებები
- საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული ძირითადი მიმართულებები
- ტურისტულ სფეროში არსებული სამართლებრივი საკითხები
- ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული უსაფრთხოების საკითხები
- პროფესიულ დონეზე სასტუმროს მომსახურების სფეროსთვის აუცილებელი სერვისების განხორციელების (დაჯავშნა, განთავსება, კვება, ღონისძიებების ადმინისტრირება, კვების უსაფრთხოება) მეთოდები

გააცნობიერებს

- აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის მნიშვნელობას
- საფუძვლიანად ერკვევა ტურიზმის (განსაკუთრებით სასტუმროს) მართვასა და მენეჯმენტში

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სტატისტიკური და მარკეტინგული გათვლების შედეგების საფუძველზე პრაქტიკაში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას
- სასტუმრო ინდუსტრიაში შემავალი კომპონენტების: განთავსების სექტორის სერვისის სექტორის, ტრანსპორტირების სექტორის, გართობის ინდუსტრიის, კვების სერვისის სექტორის, სანახაობებისა და ატრაქციების სექტორის, ღონისძიებებისა და შეხვედრების ინდუსტრიის, რეკრეაციის, სადისტრიბუციო ქსელებისა და ტუროპერირების პრობლემების აღმოჩენას და შესაბამისი გათვლების საფუძველზე მათი აღმოფრხვრისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას
- მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას
- სასტუმრო პროდუქტების დივერსიფიკაციას
- ტურიზმის/სასტუმრო ინდუსტრიაში ადამიანური რესურსების მართვას, სარესტორნო საქმიანობისა და კვების მომსახურების, ღონისძიებების,

შეხვედრების და ფესტივალების ორგანიზებას
დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- მომსახურების სფეროში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრის უნარი
- ტურიზმის/სასტუმროს საქმეში პროცესების გაანალიზების უნარი
- ტურიზმის/სასტუმროს მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრის უნარი
- მიღებული ცოდნის საფუძველზე ტურისტულ/სასტუმრო სფეროში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უნარი
- ტურიზმის სფეროში მოსალოდნელი რისკების შეფასების უნარი

კომუნიკაციის უნარი:

- სასტუმროს/ტურიზმის სფეროში ეფექტური წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხო ენებზე
- ვერბალური და წერილობითი ფორმით ელექტრონული კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენებზე
- საკუთარი იდეების დასაბუთებულად გადმოცემის უნარი
- შეუძლია ბიზნეს პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმოება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე
- შეუძლია პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა

სწავლის უნარი:

- საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება და შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროების განსაზღვრის უნარი
- ცოდნის გაღრმავების მიზნით სასწავლო რესურსების ეფექტური გამოყენება
- თანამედროვე ტენდენციების და სიახლეების შესაბამისად ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება. შემდგომი სწავლისა და განვითარების ეტაპების განსაზღვრა

ღირებულებები:

- განსხვავებული სოციალური მდგომარეებისა და კულტურის, რელიგიური მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და უმცირესობების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება
- გენდერული თანასწორობის დაცვა
- ზეპირი და წერითი ბიზნესკომუნიკაციის ეთიკური ნორმების დაცვა
- მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის უნარი
- გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის სფეროში არსებული ყველა კანონის და ეთიკური ნორმის დაცვა და პატივისცემა

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით

	დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
--	--

საკონტაქტო პირი: ასოცირებული პროფესორი მანანა ვასაძე

ტელ.: 577443515

e-mail: m.vasadze@gtu.ge

მისამართი: 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77